

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგითი სხდომის

ოქმი №4

ქ.ვანი. თავისუფლების ქ. N 65

11.03. 2021 წელი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე **ალექსანდრე ლილუაშვილი**.

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, რამაზ არველაძე, ტარიელ ბარამიძე, გიგა გოგიბერიძე, კობა ტოხვაძე, გელა ვარდოსანიძე, გელა ჩიკვაძე, ეთერ ჭიჭინაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, გელა ღვიტიძე. (დანართი №1).

სხდომას საპატიო მიზეზის გამო არ ესწრებოდა: კობა ძაგნიძე.

სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში- **ლუბა გოგოძე**.

მოწვეული პირი:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი-**ივანე მამფორია**.

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი- **ზვიად კაპანაძე**.

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის უფროსი -**მამუკა ნამიჭიჭიშვილი**.

სხდომა 12⁰⁰-საათზე გახსნა საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა და წარმოადგინა 2021 წლის 11 მარტის ბიუროს სხდომის

დღის წესრიგი

1.,„ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის N28 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელი: ივანე მამფორია

2.,„ვანის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტების დამტკიცების შესახებ“

მომხს: მამუკა ნამიჭიჭიშვილი

3., ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და შპს „მაგთიკომი“-ს შორის 2010 წლის პირველ თებერვალს დადებული ქირავნობის N 28 ხელშეკრულების 6.1 პუნქტში ცვლილების შეტანისა და 6.2 პუნქტის ამოღებისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე”.

მომხს: ზვიად კაპანაძე

4. სხვადასხვა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა 2021 წლის 11 მარტის საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -11

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანე მამფორიამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი: „ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის N28 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა მოკლედ აღნიშნა, რომ ბიუჯეტში დაგეგმილია შემდეგი სახის ცვლილებები: 1. სოფლის განვითარების ხელშეწყობა ასიგნება იზრდება 13,5 ათასი ლარით, 2. მუნიციპალიტეტის მერიის ასიგნება არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით მცირდება 13,5 ათასი ლარით. 3. საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების ასიგნება იზრდება 6,4 ათასი ლარით 4. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებების ასიგნება იზრდება 11,1 ათასი ლარით. ზემოაღნიშნული ცვლილებებიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის შემოსულობები განისაზღვრება 10692,9 ათასი ლარით, გადასახდელები 11993,4 ათასი ლარით, ხოლო ნაშთის ცვლილება 1300,5 ლარის რედაქციით: ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის პირველ საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -11

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2021 წლის 11 მარტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მამუკა ნამიჭეიშვილმა წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტების დამტკიცების შესახებ“

მომხსენებელმა მოკლედ აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით გაგრძელდა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტს გამოეყო 570 000 ლარი.

გარდა მთავრობის მიერ გამოყოფილი 570 000 ლარისა მ/წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამაში მიიმართა გასული წლის ამავე პროგრამიდან ნაშთის სახით დარჩენილი 15 847 ლარი და ადგილობრივი მერიის მიერ პროგრამის თანადაფინანსებისთვის გამოყოფილი 13 500 ლარი.

სულ მიმდინარე წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მობილიზდა 599 347 ლარი, რომლითაც დაფინანსდება 96 პროექტი.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის მეორე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -11

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2021 წლის 11 მარტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიად კაპანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და შპს „მაგთიკომი“-ს შორის 2010 წლის პირველ თებერვალს დადებული ქირავნობის N 28 ხელშეკრულების 6.1 პუნქტში ცვლილების შეტანისა და 6.2 პუნქტის ამოღებისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“.

მომხსენებელმა მოკლედ აღნიშნა, რომ ამ განკარგულებაში ცვლილება ეხება გადასახდელ თანხას, რაც გათვალისწინებული იყო გირავნობის ხელშეკრულებით და ამ ხელშეკრულების ერთი პუნქტის ამოღებას.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის მესამე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -11

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2021 წლის 11 მარტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

„სხვადასხვაში“ სიტყვა ითხოვა დეპუტატმა გელა ჩიკვაიძე.

გელა ჩიკვაიძე: კარგი იქნება თუ შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეიმუშავებს ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების წესს.

ბიუროს წევრებმა მოიწონეს ერს წინადადება.

ამით ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგითმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარე